



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია



2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

Lanchkhuti@yahoo.com

N 3246
01/10/2020

3246-09-2-202010011520



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის 14 სექტემბრის N2983 მომართვით დასამტკიცებლად წარმოგიდგინეთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომლითაც მოვითხოვეთ თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანია ქ. N76-ში მდებარე შენობის (ს.კ 27.06.52.001.01.500) მესამე სართულზე არსებული N14-24.75 ფართის ა(ა)იპ „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გაიპარა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ გადასაცემი ქონების სარეგისტრაციო კოდი ნაცვლად 27.06.52.001.01.500-სა მითითებულია 27.06.52.001.01.5000.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგინეთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

საკითხის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინეთ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის, გიორგი ნაჭყებიას კანდიდატურას. პროექტის დამტკიცება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი



ა. სანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2020 წლის სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის N48 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 სექტემბრის N48 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანის ქ. N76-ში მდებარე შენობის (ს.კ 27.06.52.001.01.500) მესამე სართულზე არსებული N14-24.75 ფართის ა(ა)იპ „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე